MES 3 21 0000765331

03/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.07.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი (II, III, IV)
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (I)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი-საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

7. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
16. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
17. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე - პრეზიდენტი სასწავლო დარგში	**I,** II, III
2.	შოთა ნიჟარაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ტექნოლოგიების სკოლის დეკანი	**I**
3.	მაქსიმ იავიჩი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
4.	მელორ ალფენიძე			II

		სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	
5.	კობა კორსანტია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
6.	ნესტან კეკელია	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	II
7.	მარინა ზარქუა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8.	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
9.	ზურაბ ბერია	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
10.	სერგო ვარდოსანიძე	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი	III
11.	ლევან ჯიქია	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი	III
12.	მაია ხეჩიკაშვილი	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი	III
13.	გიორგი გახელაძე	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	პროგრამაში ჩართული მოწვეული ლექტორი	III
14.	ლიკა გიორგაძე	ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის	III

		სახელობის ქართული უნივერსიტეტი	წარმომადგენელი, სამსახურის უფროსის მოადგილე	
15.	ლევან ბარამიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
16.	ნინო კილაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17.	ირინე კვაჭაძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნანა დიხამინჯია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	მალხაზ ღვინჯილია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
10	თეიმურაზ პაპასკირი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ქეთევან თოდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)აკრედიტაციის ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა განმარტა რომ შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
სეუ-მ მოითხოვა დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა, შესაბამისად ცენტრის მიერ მომზადდა ბრძანება პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ და ზეპირ მოსმენაზე საკითხი აღარ განიხილებოდა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0619 - ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები -არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის #1, თბილისი 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს- დიანა მჭედლიშვილმა და ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდა 2021 წლის 20-21 მაისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად 2 დღის განმავლობაში. 20 მაისს 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 21 მაისს 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე ექსპერტებს ჰქონდათ ონლაინ შეხვედრები მოეწყო გასაუბრება მომიჯნავე (ქართულენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შეუქმნეს კარგი სამუშაო პირობები და უზრუნველყვეს მოთხოვნილი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.
შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. მკაფიოდ განისაზღვროს გასაუბრების პროცედურა და საკითხები;
2. ყველა ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წელი;
3. განახლდეს კურსის „მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი“ SQL Server 2019-თვის და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;
4. კურსში „საინფორმაციო სისტემები“ დაემატოს თანამედროვე სისტემებთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;
5. მკაფიოდ განისაზღვროს კურსის „ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში“ მიზანი და კურსი შეიცვალოს ისე, რომ ტექნიკური ადმინისტრირების ნაცვლად მოიცავდეს საინფორმაციო სისტემების პროექტების დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო ტექნოლოგიების საფუძვლიან შესწავლას შესაბამისი საათების დათმობით. ამავე კურსში Windows Server 2012 საკითხები ჩანაცვლდეს Windows Server 2019 საკითხებით;
6. კურსი „პროექტების მართვა“ გამდიდრდეს საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციფიკური საკითხებით;
7. კურსში „ბუღალტერია და ფინანსები“ შევიდეს ფინტექთან დაკავშირებული საკითხებიც;
8. კურსში „ელექტრონული მმართველობა“ დაემატოს ელექტრონული მმართველოსბი უახლესი სისტემების საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურაც;
9. კურსში „ადამიანური რესურსების მართვა“ დაემატოს საინფორმაციო სისტემების პროექტებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;

10. სწორად განისაზღვროს კურსის „ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა“ მიზანი და დეტალურად ჩამოყალიბდეს მისი სწავლის შედეგები;
11. კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“ დაემატოს თანამედროვე მარკეტინგის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;
12. გასწორდეს ინგლისურენოვან სილაბუსებში გაპარული გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები. სრულად ითარგმნოს და გასწორდეს ქართულენოვანი სილაბუსების ხარვეზები;
13. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში, მუხლი 13, ქვეპუნქტი13.1- ის „გ“ ნაწილში ჩაიწეროს პრაქტიკული გამოცდილების დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია;
14. გამკაცრდეს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება;
15. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასაუბრების დეტალები, პროცედურა და საკითხები მიეთითება ვებ-გვერდზე. ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამაზე მოცემულია დეტალური ინფორმაცია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის შესახებ, მათ შორის, შესაბამისი საკითხებიც. აღნიშნული დეტალების სამაგისტრო დებულებაში ასახვის განხილვა მოხდება. ამასთან დაწესებულებას მიაჩნია, რომ მოცემული რეკომენდაცია წარმოადგენს რჩევას.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ სილებუსში იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, ლიტერატურას არ ქონდა მითითებული გამოცემის წელი, რაც შესწორებულია.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, აღნიშნული მოკლე დროში იქნება შესრულებული, ხოლო მე-4 რეკომენდაცია, დაწესებულებას მიაჩნია რჩევად. დაწესებულება ასვე სრულიად იზიარებს მე-5 და მე-7 რეკომენდაციებს.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, პროექტების მართვის კურსი ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიეის მენეჯმენტის სპეციფიკურ საკითხებს.

მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული კურსი არის არჩევითი და მოიცავს მენეჯმენტისათვის მნიშვნელოვან თანამედროვე თემატიკას. ქეისების ნაწილში ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სპეციფიკური საკითხების განხილვა. ამასთან დაწესებულებას მიაჩნია, რომ მოცემული რეკომენდაცია წარმოადგენს რჩევას.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, მოცემული კურსი არის არჩევითი და მოიცავს მენეჯმენტისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიული მარკეტინგის თანამედროვე თემატიკას.

მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა რომ სილაბუსების გადდახედვამ გამოკვეთა ორი ასეთი შემთხვევა, სადაც დაფიქსირებული შეცდომები გასწორებულია.

რაც შეეხება მე-13 რეკომენდაცია, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია კონკრეტული კვალიფიკაციების ჩამონათვალის დებულებაში ჩაწერა. დებულების ჩანაწერი: „გ. პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი.“ გულისხმობს უშუალოდ პროგრამის შესაბამისი დარგის სპეცილისტების შერჩევას.

მნიშვნელოვანია ასევე მე-14 რეკომენდაცია, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისას გამოიყენება APA სტილი, რაც 2021 წლიდან სავალდებულოა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც მონიტორინგს უწევს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების სტილს და ნაშრომების სპეციალურ პროგრამაში პლაგიატზე და მსგავსობაზე შემოწმების პროცესს. აღნიშნული პროცედურა რეგულირდება შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით. ამასთან მიგვაჩნია, რომ მოცემული რეკომენდაცია წარმოადგენს რჩევას,

ვინაიდან აღნიშნულ პროგრამას ჯერ არ აქვს სამაგისტრო ნაშრომების შემუშავების ისტორია და, რა თქმა უნდა, ნაშრომების შემუშავება და დაცვა მოხდება უნივერსიტეტში უკვე მოქმედი წესების მიხედვით.
რაც შეეხება რეკომენდაციას აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებით, პროგრამაში ჩართული ერთი მოწვეული ლექტორი ივნისის დასაწყისში არჩეულია აკადემიურ თანამდებობაზე. ვინაიდან დღეს არსებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა აკმაყოფილებს უნივერსიტეტში დადგენილ სამიზნე ნიშნულს, მიგვაჩნია, რომ მოცემული რეკომენდაცია წარმოადგენს რჩევას. თუმცა უნივერსიტეტი კიდევ გეგმავს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ ექსპერტებთან დააზუსტა, თუ რამდენად მისაღები იყო მათთვის ის არგუმენტები, რომლებიც დაწესებულებამ დაასახელა 2.2 სტანდარტთან არსებულ რეკომენდაციებთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა, რომ აუცილებელია ფორმალური შესაბამისობის დაცვა, 0619 დეტალური სფეროს მიხედვით ვერ მოხდება კვალიფიკაციის მინიჭება, რადგან აღნიშნული წარმოადგენს დეტალური სფეროს დასახელებას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა 0619.01.2- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე ბევრი საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ნაწილი გახდა, შესაბამისად აუცილებელია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეთ მათ ვინც უნდა დაგეგმოს საინფორმაციო სისტემა. რაც შეეხება საინფორმაციო სისტემების მართვას, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ფარავს საინფორმაციო სისტემების მართვისთვის საჭირო ყველა კურსს. თუმცა პროგრამის გაუმჯობესებისთვის რეკომენდირებულია გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ, „საინფორმაციო სისტემების მართვა“ გახდეს სავალდებულო კურსი, ვინაიდან ის ფარავს მოცემული კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვან თემებს, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე ზოგადად არ ისწავლება.ასევე, პროგრამაში მცირედ არის მოცემული საინფორმაციო სისტემის ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის საკითხები. მნიშვნელოვანია, ამ საკითხებს დაეთმოს ცალკე კურსი.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიური ციტირების სტილი არის სრულიად განსახვავებული. ნაწილი საკმაოდ მოწესრიგებულია, ხოლო ზოგან ლინკები და ბმულებია მითითებული. გარდა ამისა, მოცულობასც სრულიად განსხვავებულია. აღსანიშნავია, რომ თავად სილაბუსშიც არ არის მითითება გაფორმების წესისა, მოცულობისა და სტანდარტების შესახებ. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ არის საკითხი მოწესრიგებული დოკუმენტურად და რამდენად საკმარისის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე ნაშრომში მხოლოდ 10 წყაროს გამოყენება.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლების მაგისტრატურის დებულების მე-4 მუხლის დაზუსტებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სამაგისტრო ნაშრომების შესრულებასთან დაკავშირებით დაწესებულების განმარტა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამა არის ახალი, შესაბამისად არ აქვს ნაშრომების დაცვის ისტორია. თუმცა ექსპერტთა მიერ განხილული იქნა ქართულ პროგრამაზე დაცული ნაშრომები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომების ერთიანი სტილი, შესაბამისად ამ კუთხით არ არსებობს ხარვეზები. მოცემული პროგრამის სამაგისტრო

ნაშრომების დაცვა მხოლოდ ორი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი, შესაბამისად მთლიანად პროცესი და დებულება გათვალისწინებული იქნება სტანდარტების მაქსიმალური დაცვით.
რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტს, მოცემული საკითხი პროგრამაში არა ერთ სასწავლო კურსშია ინტეგრირებული, თუმცა როგორც ცალკე სასწავლო კურსი, ტექნიკური საგნის სახით არ იქნება საინტერესო სტუდენტებისთვის. აქედან გამომდინარე, დაწესებულება არ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას და მიიჩნევს რომ მას პროგრამის განვითარებისთვის არანაირი კავშირი არ აქვს.
ექსპერტმა ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული საკითხის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი დოკუმენტურად არსებობს, აუცილებელია მოხდებს მათი პრაქტიკაში განხორციელებაც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:50
დასრულების დრო: 16:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მე-2 სტანდარტის რიგი რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში, ნაწილი კი ამოღებულ იქნა ან შეეცვალა ფორმულირება, შედეგად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. განახლდეს კურსის „მონაცემთა ბაზების და მონაცემთა საცავების მენეჯმენტი“ SQL Server 2019-თვის და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;
2. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში, მუხლი 13, ქვეპუნქტი13.1- ის „გ“ ნაწილში ჩაიწეროს პრაქტიკული გამოცდილების დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია;
3. მკაფიოდ განისაზღვროს კურსის „ოპერაციული სისტემები კორპორატიულ გარემოში“ მიზანი და კურსი შეიცვალოს ისე, რომ ტექნიკური ადმინისტრირების ნაცვლად მოიცავდეს საინფორმაციო სისტემების პროექტების დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო ტექნოლოგიების საფუძვლიან შესწავლას შესაბამისი საათების დათმობით. ამავე კურსში Windows Server 2012 საკითხები ჩანაცვლდეს Windows Server 2019 საკითხებით;
4. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

- მკაფიოდ განისაზღვროს გასაუბრების პროცედურა და საკითხები;
- დაემატოს მისაღები გამოცდა პროგრამისთვის საჭირო კომპეტენციების შესამოწმებლად;
- „საინფორმაციო სისტემების მართვა“ გახდეს სავალდებულო კურსი;
- პროგრამას დაემატოს არჩევითი კურსი მონაცემთა ანალიზის მიმართულებით;
- სასურველია პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს საინფორმაციო სისტემების ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის, ასევე ხელოვნურ ინტელექტის გამოყენების საკითხების სწავლება;
- ყველა ლიტერატურას მიეთითოს გამოცემის წელი;

- კურსში „საინფორმაციო სისტემები“ დაემატოს თანამედროვე სისტემებთან დაკავშირებული საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;
- კურსი „პროექტების მართვა“ გამდიდრდეს საინფორმაციო სისტემების მართვის სპეციფიკური საკითხებით;
- კურსში „ბუღალტერია და ფინანსები“ შევიდეს ფინტექთან დაკავშირებული საკითხებიც;
    - კურსში „ელექტრონული მმართველობა“ დაემატოს ელექტრონული მმართველობის უახლესი სისტემების საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურაც;
    - კურსში „ადამიანური რესურსების მართვა“ დაემატოს საინფორმაციო სისტემების პროექტებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ საკითხები და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა;
    - სწორად განისაზღვროს კურსის „ინოვაციებისა და ცვლილებების მართვა“ მიზანი და დეტალურად ჩამოყალიბდეს მისი სწავლის შედეგები;
    - კურსში „სტრატეგიული მარკეტინგი“ დაემატოს თანამედროვე მარკეტინგის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა;
    - გაიზარდოს ინოვაციური ტექნოლოგიების სამეცნიერო-ტექნიკური და მეწარმეობის განვითარების ცენტრების აქტივობები მეტი სტუდენტის ჩასართავად;
    - სასურველია, პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს უცხოელი სტუდენტების საჭიროებების მიხედვით სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა;
    - თუკი კურსი ითვალისწინებს განმავითარებელ შეფასებას, ეს მკაფიოდ გაიწეროს სილაბუსში;
    - სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისი გაცვლითი პროგრამების დამატება საზღვარგარეთ არსებულ დარგობრივ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით;
    - სასურველია, უზრუნველყოფილ იქნას სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.11 .2012 გადაწყვეტილება N 731
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა.პოლიტკოვსკაიას N26, თბილისი, 0186, საქართველო, მეორე სასწავლო კორპუსი.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 28 მაისის ბრძანების №499077 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, 7 ივნისს განახორციელა ვიზიტი ადგილზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერების მიზნით, ხოლო 8 ივნისს online ვიზიტი ZOOM ინტერფეისის გამოყენებით, კითხვა-პასუხის რეჟიმში დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი გაიმართა მშვიდ ორმხრივ ურთიერთპატივისცემის და თანამშრომლობის პირობებში. გასაუბრებები და სხვა აქტივობები განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და დარგობრივი საგნების თანაფარდობა, შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახდა პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტი, სალექციო სივრცეები, კომპიუტერული კლასები, პერსონალის სამუშაო სივრცეები. დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს ჯგუფმა გააცნო ძირითადი მიგნებები.
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. ზოგიერთ სასწავლო კურსის (ზოგადი გეოლოგია, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია) სილაბუსში ლიტერატურის განახლება, (მითუმეტეს ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები არის)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „გეოგრაფია“ ხორციელდება 2007 წლიდან, პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს, დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური

საბჭოს მიერ. მოგვიანებით, 2016 წელს, დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. 2019 წლის ივლისამდე პროგრამა ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №152/ნ ბრძანების შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია - გაერთიანებულ იქნა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. ამჟამად პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე.
როგორც დამსაქმებლების, ისე პროგრამის უზრუნველყოფაში მონაწილე აკადემიური პერსონალის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე საჭირო გახდა სტუდენტების შეფასების გაზომვის სრულყოფა, სადაც ნათლად ისახება პასუხების შეფასებაში რიცხობრივი დიფერენციაციის სრული გამჭვირვალობა და ნაშრომში მიღებული შეფასების ადექვატურობა მის პასუხებთან. ამის გათვალისწინებით, შემუშავდა გამოცდის წერითი და ზეპირი ფორმების რუბრიკა (შეფასების სისტემა), ასევე საკონტროლო წერითი ნამუშევრებისა და პრეზენტაციების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, ამა თუ იმ სილაბუსებში მიზანშეწონილი გახდა მრავალფეროვანი შეფასების სხვადასხვა მეთოდების (მიდგომის, ხერხის) შემუშავება და დანერგვა. შემდგომი კვლევა და ანალიზი გვიჩვენებს აღნიშნული ცვლილებებისა და სწავლის შედეგებზე გასვლის რელევანტურობას. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზით ნათლად იკვეთება ის უკუკავშირი, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა პროგრამის სწავლის შედეგებს. ეს ანალიზი და შეფასებები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სწორედ, ეს გამოკითხვები გახდა პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველი: ძირითადი სასწავლო და არჩევითი ახალი კურსების დამატება, დისციპლინების სახელწოდებათა ოპტიმიზაცია, პროგრამის ახლებური სტრუქტურირება, შინაარსის მოდიფიცირება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
რაც შეეხება რეკომენდაციას, ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, აღნიშნული უკვე გასწორებულია დაწესებულების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა სასწავლო კურსი ,,მათემატიკური მეთოდები ბუნებისმეტყველებაში“ და განაცხადა, რომ სილაბუსი საკმაოდ კარგად არის შედგენილი თემატურად, თუმცა ის მოიცავს როგორც ალგებრის, ანალიზური გეომეტრიისა და ანალიზური მათემატიკის საკითხებს. შესაბამისად, უმჯობესია სათაური შესაბამისობაში მოვიდეს კურსის შინაარსთან.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია ძირითადად კურსდამთავრებულები და სტუდენტები, ხოლო დამსაქმებელი, მხოლოდ სამი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამას ჰქონოდა საკუთარი ბიუჯეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნება გათვალიწინებული რჩევა სასწავლო კურსის სახელწოდებასთან დაკავშრებით.
რაც შეეხება ბიუჯეტს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იაზრებს აღნიშნულ რეკომენდაციას და მუშაობს საკითზე. მნიშვნელოვანია ასევე შრომის ბაზრის კვლევის საკითხის, დამსაქმებელთა მცირე რაოდენობა გამოწვეულია იმით, რომ სხვადსხვა მიზეზების გამო მათი ჩართვა ვერ მოხერხდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:00
დასრულების დრო: 17:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან", თუმცა ამან არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. ზოგიერთ სასწავლო კურსის (ზოგადი გეოლოგია, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია) სილაბუსში ლიტერატურის განახლება.

რჩევები:

- პროგრამის სწავლის შედეგების უფრო ნათლად და მკაფიოდ გაზომვისთვის სასურველია მეტი აქტიური ზმნის გამოყენება შედეგების ჩამოყალიბებაში;
- სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში - გაცნობა (1), გაღრმავება (2), განმტკიცება (3) სასურველია განმავითარებელი შეფასებების დაზუსტება;
- სასწავლო კურსის „მათემატიკური მეთოდები ბუნებისმეტყველებაში" დაზუსტდეს კურსის სახელწოდება და მოცულობა შინაარსის შესაბამისად;
- უცხოური თანამედროვე ლიტერატურის მეტი რაოდენობით მითითება დამატებით ლიტერატურაში;
- სასურველია თუ სტუდენტთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით დამატებით აგრეთვე შემუშავდებოდა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც დეტალურად იქნებოდა ყველა რუბრიკა განმარტებული;
- სასურველი იქნებოდა, თუ შემუშავდებოდა ზეპირი და დისტანციურად ჩატერებული გამოცდის შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) ფორმალური მექანიზმი ისევე როგორც ეს მოწესრიგებულია წერილობითი გამოცდის შემთხვევაში;
- სასურველია დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტები და შეფასების რუბრიკები;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაკალავრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ფარგლებში საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება და უშუალოდ „გეოგრაფიის" საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა და ეტაპობრივად განორციელება;
- სასურველია, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ სტუდენტთა ცნობიერებისა და უნარების განვითარებისთვის ხელშემწყობი მექანიზმების განმტკიცება;
- მიუხედავად იმისა, რომ ლაბორატორიული ბაზა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლებულია, სასურველია თანამედროვე უახლესი აპარატურით აღჭურვა და დინამიკაში სტრატეგიის შენარჩუნება;

- სასურველია მეტი ინფორმაცია მიეწოდოს სტუდენტებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომისა და სარგებლობის კუთხით;
- სასურველია წარმოდგენილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის უფრო დეტალური ბიუჯეტი;
- რეგულარულად მომზადდეს მიზნობრივი, თემატური ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, უახლესი თემების გაზიარების მიზნით;
- სასურველია თუ კვლევის შედეგების გრაფიკული გამოსახულებები შემდგომში წარმოდგენილი იქნება კვლევების მასალების ანალიზის მოკლე რეზიუმეებთან ერთად შედეგების ორმაგი წაკითხვისა და ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით;
- სასურველია განხორციელდეს ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ;
- სასურველია თუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგროვილი გამოცდილებისა და გაზიარებული პრაქტიკის საფუძველზე შეიმუშავებდა რიგგარეშე მონიტორინგის მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამებზე პერმანენტული დაკვირვებისა და მათი ეტაპობრივი განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 - მასწავლებლის მომზადება საგნობრივის სპეციალიზაციით
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 53 ა, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 07/04/2021 MES 7 21 0000336269 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 11 მაისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეხვედრა ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმის zoom-ის მეშვეობით. ასევე ელექტრონული პლატფორმით შედგა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სამართლის სკოლაში საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამის (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. შეხვედრა შედგა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეხვედრის დროს განხილულ იქნა საბაკალავრო პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი განხორციელების გზები, სწავლის შედეგები, ზოგადი და დარგობრივი საგნების თანაფარდობა კრედიტმოცულობის განაწილებით და შეფასების კრიტერიუმები, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების გზები, განვითარების პერსპექტივები, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები, სწავლის ხარისხის და შედეგების კონტროლის მექანიზმები. მატერიალურ ტექნიკური რესურსები (ვირტუალურად, 3დ ვიდეო მასალების საფუძველზე): ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახდა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სალექციო სივრცეები, კომპიუტერული კლასები,პერსონალის სამუშაო სივრცეები. დღის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს ჯგუფმა გააცნო ძირითადი მიგნებები.
ა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი;
2. დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად;
3. დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად;
4. პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე

მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და სააუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია;

5. მას შემდეგ რაც დაკორექტირდება პროგრამის სტრუქტურა, მიეთითოს სასწავლო კურსების სტატუსი სასწავლო კურსების სილაბუსებშიც;
6. ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია – სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს ბოლო პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი);
7. დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები;
8. დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად ეთანხმება და იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს.

რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია და შესაბამისად, მოხდა ლიტერატურის გადახალისება. ასევე დაკორექტირდა ინგლისური ენის სასწავლო კურსის სწავლის მიზნების და შედეგები.

მნიშვნელოვანია ასევე მე-3, მე-4 და მე-8 რეკომენდაცია, რომლებიც ფორმალური მხარის მოწესრიგებას ეხება. უნივერსიტეტში, გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში აისახება ყველა აუცილებელი ინფორმაცია და შესაბამისი ცხრილები ნამდვილად არის მოცემული პროგრამაში, გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს თავისი პროგრამული უზრუნველყოფა. დეტალური ინფორმაცია ახლაც არის მოცემული პროგრამაში, თუმცა საუბარია იმაზე, რომ დაიხვეწოს ფორმალური მხარე. ამ მიმართულებით დაწესებულება აუცილებლად გააგრძელებს მუშაობას, რომ პროგრამამ მიიღოს მეტად სრულყოფილი სახე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დააზუსტა გაზიარებულია თუ არა დაწესებულების მიერ 2.2 კომპონენტთან არსებული რეკომენდაცია და რამდენად მასშტაბურია აღნიშნული. გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა არის საბაკალავრო-სამაგისტრო, უმჯობესი იქნება ინგლისური ენის სწავლა A2 დონის მაგივრად იწყებოდეს B2 დონით და ის, რომ შემდგომ სწავლება დარგობრივი ინგლისურით დამთავრდეს ბევრად მეტ სარგებელს მოუტანს სტუდენტს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით არ ჩანდა თუ რამდენი დამსაქმებელი იქნა გამოკითხული. ასევე წარმოდგენილი არის სკოლის ბიუჯეტი, თუმცა არ არის წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსებს შორის არის საკმაოდ ბევრი თემატური გადაფარვები. თუმცა საყურადღებოა ასევე, რომ შეფასების მეთოდებში არ არის გათვალისწინებული კვლევა. როდესაც სამი სასწავლო კურსის ფარგლებში ხდება კვლევის მეთოდების შესწავლა გასათვალისწინებელია, რომ უნდა შეფასდეს პრაქტიკულად დამუშავებული უნარ-ჩვევები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ ზოგიერთ სილაბუსში სწავლის შედეგები ძველი მიდგომით არის ჩამოყალიბებული, გაწერილია 6 კომპეტენცია. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს თუ როგორც უნდა იყოს მოცემული მოყვანილი შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამას მოჰყვება თავისი კალენდარული ცხრილი, რომელიც საჭიროებს ფორმალურად მოწესრიგებას ფაქტობრივად გარე მაყურებლისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დოკუმენტების წარდგენა ხდება მატერიალური სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით ინგლისური გაყოფილია B1.1 და B1.2 დონედ, რათა მიზნებსა და სწავლის შედეგებში მომხდარიყო შესაბამისი ცვლილების ასახვა.
რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს საბჭოს წევრთა რეკომენდაციას საკითხთან დაკავშირებით.
მნიშვნელოვანია ასევე კვლევის მეთოდების საკითხი, კერძოდ, 60 კრედიტიანი კვლევა, მოიცავს რეალურად პრაქტიკულ კვლევას. სტუდენტების რეალურად აწარმოებენ კვლევას და ჩართულნი არიან პროცესში.
საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე, დაინტერესდა შესწავლილი აქვს თუ არა ინსტიტუციას ანალოგიური პროგრამები.
დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაზუსტებით არ არის შესაძლებელი რაოდენობის თქმა თუმცა გამოკითხვა განხორციელდა კითხვარების გამოყენებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ანალოგიური პროგრამა მხოლოდ ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო სოხუმისა და აკაკი წერეთელის სახელობის უნივერსიტეტებს აქვს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 18:17

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 , 2.3 და 4.4 ქვეკომპონენტებში დაემატა რეკომენდაციები, შესაბამისად 2.2 და 4.4 ქვეკომპონენტები შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისია მოთხოვნებთან“. საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი;
2. დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად;
3. პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და საუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია;
4. რეკომენდირებულია ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს B 1 დონით, რათა სტუდენტებს მიეცეს შესაძლებლობა ბოლო ეტაპზე გაიარონ დარგობრივი ინგლისური ენა, რაც უფრო რელევანტურია ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისთვის;

5. ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია – სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს ბოლო პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი);
6. დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები;
7. დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად და გაიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით;
8. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
9. დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო.

რჩევები:

- სასურველია დაზუსტდეს შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
- უმჯობესია, თუ სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან კავშირი ცხრილის ან რამე სხვა თვალსაჩინო სახით იქნება წარმოდგენილი;
- სასურველია სილაბუსებში აქტიურად იქნეს გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალა. ეს ერთი მხრივ, სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან უნივერსიტეტში და ამავე დროს, უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიასა და მსოფლიო ისტორიაში. ეს ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გეოგრაფიაში, რადგან არ არსებობს უახლესი საერთაშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;
- შეთავაზებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენის დარგობრივი კურსი;
- ჩევები პროგრამის განვითარებისთვის: რჩება სასურველია, მეთოდების ჩამონათვალს სილაბუსებში დაემატოს ელექტრონული სწავლება, რომელსაც უსდ ისედაც იყენებს;
- სასურველია სტუდენტებისთვის სასწავლო კურსების ფარგლებში აკადემიური პერსონალის მრიდან დაიგეგმოს დარგობრივი კონსულტაციები, რაც აისახება ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში;
- სასურველია, გაიზარდოს გაცვლით პროგრამების რაოდენობა; მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში);
- სასურველია გაძლიერდეს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობები;
- მომავალში გასათვალისწინებელია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის დაცვა, კერძოდ, წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასურველია დაემატოს აკადემიური პერსონალი გეოგრაფიის მიმართულებით;
- სასურველია მხარდაჭერის გაფართოება ინტერნაციონალიზაციის საკითხებში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, კერძოდ, მათი საერთაშორისო ჩართულობის კუთხით როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის კომპონენტში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და აქტუალურ კვლევებში ჩართვის მიზნით;
- პერსონალის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- სასურველია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები გაზიარებული იყოს ინსტიტუციურ დონეზე პერმანენტულად და დეტალურად, რისთვისაც გამოყენებული იქნება ინტერაქციული ვორკშოფები, ტრეინინგები და ა.შ.;

- სასურველია, თუ შემდგომში ინსტიტუცია იზრუნებს საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიურ შეფასებაზე;
- ხარისხის მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება, სტუდენტების მიერ ელექტრონული კითხვარების მეშვეობით სასწავლო კურსებისა და პედაგოგების შეფასება (სასურველია სტუდენტებისათვის სავალდებულო გახდეს შესაფასებლად წარდგენილი თითოეული სასწავლო კურსისა და ლექტორის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარის შევსება).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა (ა) იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ,,მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	01. 10. 2019 N182
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	45
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0177 (0186), ვაჟა-ფშაველას გამზ.33
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 1 ოქტომბერს.
ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპგანათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წაროადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (3 დანართი). შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2019 წლის 16 მაისს N24/11 თსსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა. დამატებით ექსპერტების მიერ მოთხოვნილ იქნა ახალი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი კურიკულუმი, დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დამტკიცებული თსსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი №8; 15.03. 2021, მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მიმართებით.
ექსპერტთა მიერ დადგენილი იქნა შესაბამისობა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია სრულიად იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:22

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, საბჭომ შეწყვიტა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა
18:30სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ